ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 03-01/30

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 01 მარტი 2011წ.

შემსყიდველი: სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მარო ჩხაიძის სახით.

მისამართი: ქ. ბათუმი , ვ. გორგასალის ქ. №141-143

საკონტაქტო ტელეფონები: 70391, 70398

საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი" კოდი BAGAGE22

ს/ანგარიში **GE78BG0000000886744500** ს/კ 245428577

მიმწოდებელი:შპს "ინტერსეგიურითი-ჯორჯია"ს გენერალური დირექტორი ზურაბ ზატუაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი , ვაჟა ფშაველას გამზ. №41

საბანკო რეკვიზიტები: სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი: **BRLGE22** , ა/ანგარიში: 3608092062, ს/კ 211346514

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, "სახელმწიფო შეყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (II თავის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი) და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების (23-ე და 25-ე მუხლების) შესაბამისად ერთის შპს "ინტერსეგიურითი-ჯორჯია"ს გენერალური დირექტორი ზურაბ ზატუაშვილი სახით, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების საფუძველზე , შემდგომში "მიმწოდებელი" და მეორეს მხრივ "შემსყიდველი" **სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი,** (ქ. ბათუმი ვ. გორგასალის ქ.№141-143 ტელ. 70391, 70398), ცენტრის დირექტორის მარო ჩხაიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ღებულობს ვალდებულებას შემსყიდველს გაუწის შემდეგი სახის მომსახურება; **(კოდი 3512000)** შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები,კერძოდ 35120000-შენობა ნაგებობების დაცვის ხარჯები

და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანმა სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 1200(ერთიათასორასი) ლარი

2. ანაზღაურების პირობები

2.1. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემდეგ.

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს წარდგენილი საქონლის რაოდენობა და წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი.

2.3. ანგარიშსწორების განხორციელება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

3.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

3.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

3.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა სამოქალაქო კოდექსის 393 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

4.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა

4.2. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემდეგ.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს წარდგენილი საქონლის რაოდენობა და წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი.

4.4. ანგარიშსწორების განხორციელება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.5. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. უფლებების გადაცემა

5.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

6.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა

მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შესრულების გამო

7.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრუ-ლება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერი-ლობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალის-წინებული რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მომწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს

დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდა მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

10. შეტყობინება

10.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის,დეპეშის,

ტელექსის ან ფაქსის სახით, ორგინალის შემდეგი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10.2.შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით,თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების ენა

11.1.ხლშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრამდე. .

.

13. გადასახადები და ბაჟები

13.1. მომწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახდელების გადასახადზე.

14. მხარეთა პირობები

14.1 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად, აქედან ორივე ეგზემპლარი ინახება ხელსეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის	შპს"ინტერსეგურითი-ჯორჯია"ს
ცენტრის დირექტორი	გენერალური დირექტორი
მარო ჩხაიძე	ზურაბ ზაგუაშვილი

ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ

ფორმა № 3

(ივსება მიმწოდებლის მიერ)

კოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა
35120000	შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები			1200	2011წ.

განაწილება თვეების მიხედვით

სულ	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1200			120	120	120	120	120	120	120	120	120	120

ცენტრის დირექტორი

მარო ჩხაიძე

გენერალური დირექტორი

ბურაბ ხატუაშვილი